მე, გოჩა დიდავა დავიბადე 1964 წლის 27 თებერვალს ქ. ქუთაისში.

1987 წელს დავამთავრე ნ. მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი;

2000 წელს წარჩინებით დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

1994-1997 წლებში ვმუშაობდი საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტში წამყვან სპეციალისტად.

1998-1999 წლებში ვიყავი საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბიუროს უფროსი.

1999 წლიდან 2016 წლის 25 ივლისამდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო განყოფილების უფროსად.

2002-2004 წლებში ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის უფროსის მ/შემსრულებელად.

2004 წელს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით.

2005 წელს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2011 წელს სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე სასამართლოს მენეჯერის სასწავლო კურსი და ჩავაბარე პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

2013 წელს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2014 წელს დავამთავრე იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2016 წლის 25 ივლისადან ვახორციელებდი მოსამართლის უფლებამოსილებას ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

2019 წლის 9 ივლისის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.